

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2 2017 წლის 24 თებერვალი

ქ. ზესტაფონი

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №1 დადგენილების (ვებგვერდი, 30/01/2017 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.127.016222 1-ლ, მე-2, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-17, და მე-18 მუხლებში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მაღრაძე

დანართი

თავი I მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,220.9	4,410.1	10,810.8	15,624.6	4,217.6	11,407.0	11,964.5	0.0	11,964.5
გადასახადები	2,394.5	0.0	2,394.5	4,700.0	0.0	4,700.0	5,300.0	0.0	5,300.0
გრანტები	11,199.6	4,410.1	6,789.5	9,688.4	4,217.6	5,470.8	5,463.6	0.0	5,463.6
სხვა შემოსავლები	1,626.8	0.0	1,626.8	1,236.2	0.0	1,236.2	1,200.9	0.0	1,200.9
ხარჯები	9,610.2	260.5	9,349.7	11,546.2	158.5	11,387.7	9,706.4	5.4	9,701.0
შრომის ანაზღაურება	1,871.1	0.0	1,871.1	2,521.7	0.0	2,521.7	2,274.8	0.0	2,274.8



საქონელი და მომსახურება	635.2	16.7	618.5	1,047.7	0.8	1,046.9	896.3	0.0	896.3
პროცენტი	66.3	0.0	66.3	51.8	0.0	51.8	36.8	0.0	36.8
სუბსიდიები	4,661.7	82.6	4,579.1	5,332.7	0.0	5,332.7	5,011.8	5.4	5,006.4
გრანტები	585.0	0.0	585.0	469.1	0.0	469.1	22.2	0.0	22.2
სოციალური უზრუნველყოფა	1,300.8	0.0	1,300.8	1,515.9	0.0	1,515.9	1,288.9	0.0	1,288.9
სხვა ხარჯები	490.1	161.2	328.9	607.3	157.7	449.6	175.6	0.0	175.6
საოპერაციო სალდო	5,610.7	4,149.6	1,461.1	4,078.4	4,059.1	19.3	2,258.1	-5.4	2,263.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,580.1	3,993.4	586.7	7,571.3	4,830.1	2,741.2	4,393.4	121.9	4,271.5
ზრდა	5,053.0	3,993.4	1,059.6	7,621.3	4,830.1	2,791.2	4,443.4	121.9	4,321.5
კლება	472.9	0.0	472.9	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
მთლიანი სალდო	1,030.6	156.2	874.4	-3,492.9	-771.0	-2,721.9	-2,135.3	-127.3	-2,008.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	903.8	156.2	747.6	-3,613.4	-771.0	-2,842.4	-2,372.3	-155.1	-2,217.2
ზრდა	903.8	156.2	747.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	903.8	156.2	747.6	0.0			0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	3,613.4	771.0	2,842.4	2,372.3	155.1	2,217.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			3,613.4	771.0	2,842.4	2,372.3	155.1	2,217.2
ვალდებულებების ცვლილება	-126.8	0.0	-126.8	-120.5	0.0	-120.5	-237.0	-27.8	-209.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	126.8	0.0	126.8	120.5	0.0	120.5	237.0	27.8	209.2
საშინაო	126.8	0.0	126.8	120.5	0.0	120.5	237.0	27.8	209.2
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	15,693.8	4,410.1	11,283.7	15,674.6	4,217.6	11,457.0	12,014.5	0.0	12,014.5
შემოსავლები	15,220.9	4,410.1	10,810.8	15,624.6	4,217.6	11,407.0	11,964.5	0.0	11,964.5
არაფინანსური აქტივების კლება	472.9	0.0	472.9	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	3613.4	771.0	2842.4	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები	14790.0	4253.9	10536.1	19288.0	4988.6	14299.4	14386.8	155.1	14231.7
ხარჯები	9610.2	260.5	9349.7	11546.2	158.5	11387.7	9706.4	5.4	9,701.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	5053.0	3993.4	1059.6	7621.3	4830.1	2791.2	4,443.4	121.9	4,321.5
ვალდებულებების კლება	126.8	0.0	126.8	120.5	0.0	120.5	237.0	27.8	209.2
ნაშთის ცვლილება	903.8	156.2	747.6	-3613.4	-771.0	-2842.4	-2372.3	-155.1	-2217.2

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9706,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9,610.2	260.5	9,349.7	11,546.2	158.5	11,387.7	9,706.4	5.4	9,701.0
შრომის ანაზღაურება	1,871.1	0.0	1,871.1	2,521.7	0.0	2,521.7	2,274.8	0.0	2,274.8
საქონელი და მომსახურება	635.2	16.7	618.5	1,047.7	0.8	1,046.9	896.3	0.0	896.3
პროცენტი	66.3	0.0	66.3	51.8	0.0	51.8	36.8	0.0	36.8
სუბსიდიები	4,661.7	82.6	4,579.1	5,332.7	0.0	5,332.7	5,011.8	5.4	5,006.4
გრანტები	585.0	0.0	585.0	469.1	0.0	469.1	22.2	0.0	22.2
სოციალური უზრუნველყოფა	1,300.8	0.0	1,300.8	1,515.9	0.0	1,515.9	1,288.9	0.0	1,288.9
სხვა ხარჯები	490.1	161.2	328.9	607.3	157.7	449.6	175.6	0.0	175.6

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4393,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4443,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა



01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	110,0	82.4	34,9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,9	1,0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3431,1	6239.1	4318.1
04 00	განათლება	1405,8	1033.4	15,3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	100,5	265.4	75,1
06 00	ჯანდაცვა	2,7	0,0	0.0
	სულ	5053,0	7621.3	4443,4

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	472,9	50,0	50,0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	118,1	50.0	50.0
მიწა	101,8	0,0	0,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	16,3	50,0	50,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,409.8	8.4	2,401.4	3,294.1	0.0	3,294.1	2,980.6	0.0	2,980.6
	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი									



7011	ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,409.8	8.4	2,401.4	3,294.1	0.0	3,294.1	2,980.6	0.0	2,980.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,409.8	8.4	2,401.4	3,176.0	0.0	3,176.0	2,730.6	0.0	2,730.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	118.1	0.0	118.1	250.0	0.0	250.0
702	თავდაცვა	130.0	0.0	130.0	188.5	0.0	188.5	168.5	0.0	168.5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	323.5	0.0	323.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	323.5	0.0	323.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,494.9	2,815.0	679.9	6,380.2	4,167.6	2,212.6	4,362.7	121.9	4,240.8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	9.7	0.0	9.7	14.5	0.0	14.5	13.1	0.0	13.1
70421	სოფლის მეურნეობა	9.7	0.0	9.7	14.5	0.0	14.5	13.1	0.0	13.1
7045	ტრანსპორტი	2,466.4	1,796.2	670.2	5,163.9	2,965.8	2,198.1	4,265.9	43.1	4,222.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,466.4	1,796.2	670.2	5,163.9	2,965.8	2,198.1	4,265.9	43.1	4,222.8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,018.8	1,018.8	0.0	1,201.8	1,201.8	0.0	83.7	78.8	4.9
705	გარემოს დაცვა	1,449.3	82.6	1,366.7	1,453.5	0.0	1,453.5	1,409.7	5.4	1,404.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადაამუშავება და განადგურება	1,380.1	82.6	1,297.5	1,401.7	0.0	1,401.7	1,372.9	5.4	1,367.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	69.2	0.0	69.2	51.8	0.0	51.8	36.8	0.0	36.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	428.7	36.2	392.5	396.0	20.9	375.1	32.5	0.0	32.5



7061	ბინათმშენებლობა	274.3	14.3	260.0	304.0	0.0	304.0	32.5	0.0	32.5
7063	წყალმომარაგება	1.6	0.0	1.6	70.7	20.5	50.2	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	152.8	21.9	130.9	21.3	0.4	20.9	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	105.7	2.7	103.0	104.6	0.0	104.6	104.6	0.0	104.6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	105.7	2.7	103.0	104.6	0.0	104.6	104.6	0.0	104.6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,906.5	47.0	1,859.5	2,512.2	0.4	2,511.8	1,597.5	0.0	1,597.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	676.6	0.0	676.6	1,061.7	0.4	1,061.3	584.9	0.0	584.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,126.3	47.0	1,079.3	1,338.5	0.0	1,338.5	895.4	0.0	895.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	103.6	0.0	103.6	112.0	0.0	112.0	117.2	0.0	117.2
709	განათლება	3,107.7	1,262.0	1,845.7	3,288.9	799.7	2,489.2	2,211.8	0.0	2,211.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,102.7	1,262.0	1,840.7	3,282.9	799.7	2,483.2	2,206.4	0.0	2,206.4
7092	ზოგადი განათლება	5.0	0.0	5.0	6.0	0.0	6.0	5.4	0.0	5.4
70923	საშუალო ზოგადი განათლება	5.0	0.0	5.0	6.0	0.0	6.0	5.4	0.0	5.4
710	სოციალური დაცვა	1,307.1	0.0	1,307.1	1,549.5	0.0	1,549.5	1,281.9	0.0	1,281.9
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	86.9	0.0	86.9	95.0	0.0	95.0	102.0	0.0	102.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	77.9	0.0	77.9	80.0	0.0	80.0	80.0	0.0	80.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	697.1	0.0	697.1	628.5	0.0	628.5	496.0	0.0	496.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის	445.2	0.0	445.2	746.0	0.0	746.0	603.9	0.0	603.9



სფეროში									
სულ	14,663.2	4,253.9	10,409.3	19,167.5	4,988.6	14,178.9	14,149.8	127.3	14,022.5

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -2135,3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2372,3 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	903,8	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0

3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2372,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	0,0	3613,4	2372,3
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	3613,4	2372,3
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 250,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავი II

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 168.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 168,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ზესტაფონის



მუნიციპალიტეტში ხორციელდება 15 წლის ჭაბუკთა სამხედრო აღრიცხვა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი, წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის უზრუნველყოფა.
2. სამხედრო სამსახურისათვის მომზადება, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა.
3. მობილიზაცია და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

შეფასების ინდიკატორი:

1. სამხედრო მომზადების სრულყოფა.
2. წვევამდელთა პატრიოტული აღზრდა.
3. რეზერვისტების სრული მობილიზაცია და გადამზადება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 6023,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 4350,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

შეფასების ინდიკატორი:

რეაბილიტირებული ხიდების რაოდენობა; რეაბილიტირებული გზების რაოდენობა.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა- 1576,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე



განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2.1 მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები- 1373,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს (ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა დასუფთავება და ნარჩენების გატანა და გარე ქსელის ბუნკერებისაგან საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება. ნაგავსაყრელი ტერიტორიის მართვის ორგანიზება, სანიაღვრე არხის გაწმენდა და მოვლა-პატრონობის ორგანიზება. ქ. ზესტაფონში არსებული სკვერების გაზონებისა და ბარების მოვლა-პატრონობასა და გამწვანების ორგანიზება. ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ორგანიზება, ქალაქის ტერიტორიაზე უზედამხედველო პირუტყვისა და უპატრონო შინაური ცხოველების აღკვეთა ორგანიზება. ქალაქ ზესტაფონში არსებული სკვერების და გაზონების მოვლა-პატრონობა, და გამწვანების ორგანიზება. სხვადასხვა სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობა, წყალდიდობა, ნიაღვარი, ღვარცოფი, მეწყერი და სხვა) დროს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გზებისა და მოედნების გაწმენდის ორგანიზება. სერვისცენტრში დასაქმებულია 139 საშტატო ერთეული.

მოსალოდნელი შედეგები:

-ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

-მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება.

შეფასების ინდიკატორი:

-ქალაქის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიური მაჩვენებელი.

-ქალაქის გარე განათების მომსახურების მაჩვენებელი

-მაწანწალა ცხოველებისაგან დაზარალებულ მაცხოვრებელთა 30%-ით შემცირება.

3. განათლება - 2213,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების ღონის ამაღლებას.

3.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება- 2201,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომლებიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

მოსალოდნელი შედეგები:

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა.

შეფასების ინდიკატორი:



კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღების რაოდენობა

აღსაზრდელო რაოდენობა

3. ზოგადი განათლების ხელშეწყობა- 5.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივიზაციის ამაღლება;

ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 1597,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, კულტურული ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა- 585,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსკოლის, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;

სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა- 895,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

4.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება- 9.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

4.4 ეპარქიის ხარჯები-108.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების ხელშეწყობისათვის

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 1401,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 მოსახლეობის ჯანდაცვა სულ 104.6 (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ „ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის შესწავლა/დადგენა.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები.

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა.

დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა.

სანიტარიული ღონისძიებები.

ა ი პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის“ მიერ ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში 2017 წელს განსახორციელებელი სავალდებულო ღონისძიებები, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის ღონისძიებაზე ზედამხედველობა.

ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

5.2 სოციალური პროგრამები-1296,8 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური პროგრამები მოიცავს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები /რეგისტრირებული/ (მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი) მოქალაქეებისათვის დახმარების ღონისძიებებს: ოჯახების განვითარების, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის და პრევენციული ღონისძიებების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრების და მსგავსი გაერთიანებების მიმართ დახმარების ღონისძიებებს, სადაც მიმდინარეობს, მხოლოდ სოციალური ხასიათის მხარდამჭერი ღონისძიებები და მასში გაერთიანებულია გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჯგუფი (სოციალური ჯგუფი).



მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება 362.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 01)

1) ლეიკემიით, ჰემოფილით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600 ლარის ოდენობით. წლის ბიუჯეტი 10 000 ლარი.

2) შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბენეფიციარები:

ცერებრალური დამბლით, აუტიზმით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 500 ლარით.

შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული), ფსიქიური აშლილობით დაავადებული და სხვა შ.შ. სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები-150 ლარი. წლის ბიუჯეტი 40 000 ლარი.

3) მარტოხელა მშობლები რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვების დახმარება განისაზღვროს 200 ლარით. წლის ბიუჯეტი 5 000 ლარი

4) მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) – 400 ლარი. წლის ბიუჯეტი 60 000 ლარი.

5) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა 200 ლარამდე.წლის ბიუჯეტი 60 000 ლარი.

6) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა – 500 ლარამდე.წლის ბიუჯეტი 5 000 ლარი.

7) ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობა (ქიმიო და სხივური თერაპია, მედიკამენტები) – 200 ლარი.წლის ბიუჯეტი 120 000 ლარი.

8) სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შემთხვევით უზრუნველყოფა -3000 ლარი.

ქვეპროგრამა (შუამდგომლობა) – 100 – დან 500 ლარამდე.წლის ბიუჯეტი 59 000 ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სტიმულირება.

უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ეპილეფსია, პარკინსონი) 100.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) მატერიალიზებული ფორმით დახმარების (უფასო მედიკამენტების) გაცემას იმ პირების მიმართ, რომელთაც დადგენილი აქვთ დაავადება ეპილეფსია და პარკინსონი და ესაჭიროება ამავე დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები.

ბ) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების / მომართვის, სათანადო დოკუმენტაციის და კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

გ) დასაფინანსებელი მედიკამენტი განისაზღვრება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის (რეცეპტის) საფუძველზე.

დ) დახმარება გაიცემა - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარზე ყოველთვიური საჭიროების მიხედვით, ყოველ ერთ ჯერზე საჭიროებისას არაუმეტეს ორი დასახელების მედიკამენტისა, რომელთა დაფინანსების ღირებულება თითოეული ბენეფიციარისათვის, ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.



ე) დახმარების თანხა გაიცემა (უნაღდო ანგარიშსწორებით): ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ანაზღაურების სახით, შემსრულებლის მიერ მოწოდებული დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი

ეპილეფსია-პარკინსონით დაავადებულთა კმაყოფილება.

თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება 34.0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) დიალიზის (ჰემო და პერიტონიალური) პროგრამაში მყოფი ბენეფიციარების ყოველთვიურად დახმარება 100 ლარის ოდენობით.

ბ) ფინანსური დახმარება ბენეფიციარს მიეცემა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ:

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან დიალიზის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ. (ფN IV-100ა)

შეფასების ინდიკატორი

ბენეფიციარების სტიმულირება.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის „უფასო სადილით“ უზრუნველყოფა 102.0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) მატერიალური ფორმით დახმარებას (უფასო სადილი) პირის /ოჯახის მიმართ, რომელიც არის ბაზაში რეგისტრირებული პირი/ ოჯახი (ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასების ქულა არ აღემატება 70 000-ს.) და ამავდროულად არის უკიდურესად გაჭირვებული.

ბ) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის და შესაბამისი მოკვლევის მასალების გათვალისწინებით;

გ) დახმარება გაიცემა პროგრამაში ჩართულ ყოველ ერთ ბენეფიციარზე დღეში ერთჯერ- უფასო სადილი (მენიუს შესაბამისად);

დ) ბენეფიციარისათვის დახმარების მიღების უფლება განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით.

ე) დახმარების თანხა გაიცემა (უნაღდო ანგარიშსწორებით) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ანაზღაურების სახით, შემსრულებლის მიერ მოწოდებული დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგები:

* შიმშილის ნაწილობრივი ან სრული აღმოფხვრა

შეფასების ინდიკატორი

-შიმშილობის აღმოფხვრა



პროგრამა ითვალისწინებს:

ფულადი დახმარების გაცემას იმ პირების/ ოჯახების მიმართ, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი და არის:

სოციალურად დაუცველი ოჯახი-თუ ოჯახი (ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში (ტექსტში შემდეგ „ბაზაში რეგისტრირებული“) და ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასების ქულა არ აღემატება 70 001-ს; (გარდა დევნილისა)

ა) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების / მომართვის და სათანადო დოკუმენტაციის შესაბამისად.

ბ) დახმარება გაიცემა თუ:

გ) ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წლის ან წინა წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში და ახალშობილის ასაკი არ აღემატება 1 წელს.

დ) იმავე ახალშობილისათვის ოჯახს არ მიუღია ფულადი დახმარება წინა წლის განმავლობაში.

ე) ახალშობილის მშობელი- მამა , რეგისტრირებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან მამის დაუდგენლობის შემთხვევაში დედა.

ვ) დახმარება ბენეფიციარს მიეცემა (ნაღდი ანგარიშსწორებით) ყოველ ერთ ახალშობილზე არაუმეტეს ერთჯერ:

ზ) ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახზე პირველ და მეორე ახალშობილზე გასაცემი თანხა 250 ლარი.

თ) მე-3, მე-4-ე და მეტ ახალშობილ ოჯახზე – 250 ლარი

ი) ტყუპი ახალშობილის ოჯახზე გასაცემი თანხა თითოეული ახალშობილისათვის 250 ლარი.

კ) დევნილის ოჯახზე გასაცემი თანხა 250 ლარი.

ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა“ – 200 ლარი. წლის ბიუჯეტი 2 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა

და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქისათვის, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სასამართლოს ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსახლეობის დემოგრაფიული ფონდის მხარდაჭერა

სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 25.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ფულადი დახმარების გაცემა სტიქიის (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, მეწყერი, ხანძარი, ღვარცოფი, ნიაღვარი, ყინვა და სხვა) შედეგად დაზარალებული პირის/ ოჯახის მიმართ, რომელთაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღებათ განვითარებული სტიქიის გამო საცხოვრებელ სახლზე და ამავედროულად ოჯახი განიცდის ეკონომიკურ სიდუხჭირეს.



ბ) დახმარება გაიცემა თუ:

ბ.ა) სტიქია განვითარდა მიმდინარე ან წინა წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

ბ.ბ) სტიქიით გამოწვეული ზიანი და ხარისხი დადასტურებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის (ორგანო, სამსახური, კომისია, სპეციალური ჯგუფი) მიერ.

გ) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების / მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკლვლევის მასალების გათვალისწინებით.

დ) დახმარება ბენეფიციარს მიეცემა (ნაღდი ანგარიშსწორებით) საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს ერთჯერ.

ე) გასაცემი თანხის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

მოსალოდნელი შედეგები:

-სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერა.

სარიტუალო- გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება 30.0 ათასი ლარი.ლარი.(პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ფულადი დახმარების გაცემას სარიტუალო ხარჯების უზრუნველსაყოფად- თუ პირი გარდაიცვალა მიმდინარე ან წინა წლის ბოლო 6 თვის პერიოდში, გარდაცვალებიდან გასული არ არის 1 წელი და იყო:

ა.ა) ბაზაში რეგისტრირებული (გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე მაინც) და იყო შემწეობის მიმღები.

ა.ბ) დევნილის სტატუსის მქონე.

ა.გ) უპატრონო მიცვალებული (უპატრონოდ მიიჩნევა პირი, რომელზეც გარდაცვალების მომენტიდან დაკრძალვამდე მზრუნველობას არ იღებს არავინ და კომისიის მიერ დასაბუთებულია გადაუდებელი აუცილებლობა დაიკრძალოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებით);

ბ) ფულადი დახმარება მიეცემა დახმარების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, რომელმაც გაიღო დაკრძალვის ხარჯები, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა;

ბ.ა) არის გარდაცვლილის-მეუღლე, მშობელი, შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის მეუღლე, და, ძმა, დისშვილი, ძმისშვილი, გერი ან სხვა უფლებამოსილი პირი, რომელმაც გაიღო დაკრძალვის ხარჯი;

ბ.ბ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი გაიცემა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურების სახით, შემსრულებლის მიერ მოწოდებული დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე;

გ) ბენეფიციარი განისაზღვრება- დახმარების მიღებაზე უფლებამოსილი პირის განცხადების / მომართვის შესაბამისად;

დ) ფულადი დახმარება გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს ერთჯერ:

დ.ა) ბაზაში რეგისტრირებული პირის გარდაცვალებისას-გასაცემი თანხა 200 ლარი;

დ.ბ) დევნილის გარდაცვალებისას-გასაცემი თანხა 200 ლარი.

დ.გ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი (უნაღდო ანგარიშსწორებით)-არაუმეტეს 400 ლარი.



სარიტუალო დახმარება გაიცემა ომის მონაწილეების დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისათვის, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

მოსალოდნელი შედეგები

გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი, დევნილის სატატუსის მქონე ოჯახების მორალური და მატერიალური თანადგომა, უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.

შეფასების ინდიკატორი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხრიდან კმაყოფილების გამოხატვა.

სადღესასწაულო დახმარება 36,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამა ითვალისწინებს:

1) ფულადი ან/და მატერიალური ფორმით დახმარების გაცემას პირის /ოჯახის ან/და სოციალური ჯგუფის მიმართ, ღირშესანიშნავ, ტრადიციულ და ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით სოციალური თანადგომა/მხარდაჭერის მიზნით.

2) დახმარება გაიცემა როგორც ინდივიდუალურ პირზე, ასევე სოციალურ ჯგუფზე:

3) დიდი სამსმულო ომის მონაწილეები-200 ლარი.

4) სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები (მეომრის- მეუღლე, შვილი, მშობელი) – 50 ლარი.

5) დედ- მამით ობოლი ბავშვები (18 წლამდე) – 200 ლარი.

6) ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომლებიც გაერთიანებულია სოციალურ ჯგუფად.

7) ხანდაზმული მოხუცები (100 და 100 წლის ასაკს გადამორებული პირები) – 300 ლარი.

8) უნარშეზღუდული ბავშვები (18 წლამდე). (რომლებიც გაერთიანებულია სოციალურ ჯგუფად)

9) 9 აპრილს დაზარალებული მოქალაქეები – 200 ლარი.

10) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციის მონაწილეები-200 ლარი.

11) და სხვა კომისიის მხრიდან შერჩეული პირები და სოციალური ჯგუფები:

12) უსახლკარო ბენეფიციართა დახმარება – 200 ლარი

13) სოციალური ჯგუფი (, უსახლკარო ბენეფიციართა ჯგუფი)

14) სოციალური ჯგუფი (ჰუმანიტარული ასოციაცია კათარზისი)

გ) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების /მომართვის ან კომისიის მხრიდან პირის / სოციალური ჯგუფის შერჩევის შესაბამისად.

დ) დახმარება გაიცემა (ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით):

დ.ა) ინდივიდუალურ პირზე გასაცემი ფულადი დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

დ.ბ) სოციალურ ჯგუფზე გასაცემი ფულადი დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 10000 (ათი ათას) ლარს.



დ.გ) ინდივიდუალურ პირზე ან/ და სოციალურ ჯგუფზე მატერიალური ფორმით (საჩუქრები, საკვები პროდუქტები, ღონისძიებათა დაფინანსება და სხვ.) გასაცემი დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა ერთ ჯერზე არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

მარჩენალდაკარგულების დახმარება 12.0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 06 02 09)

